ფასი 50 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური პირველი

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 39 ოთხშაბათი, 11 ენკენისთვე 1918 წ. № 39

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.

საგალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

გარდაიცვალა

ექიმი ილია იოსების ძე

ანდრონიკაშვილი

რასაც გულითადის მწუხარებით იუწყებიან მისი და ელო, ძმა შაკრო, ძმისწული ხახე ანდრონიკაშვილები, ბიძაშვილები გენო და ანდრია ვაჩნაძეები და სიძე შალვა დადიანი. პანაშვიდი სამშაბათს, 10 სექტემბერს, დილის 11 საათზე, ქვაშვეთის ეკ-
708 ლესიაში. დასაფლავება ოთხშაბათს, 11 სექტემბერს. 2—2

ვაჟთა და ქალთა გიმნაზია

ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი იხსნება 4 წელიწადში.

ძველი ს. ქ., № 11.

თხოვნები შეიტანება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მიღებაზე ხელშეობა. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გაზომდენ. შესული კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომელსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია ღიაა ყოველ დღე 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სასადილოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

50—13 გიმნაზიის დირ. ს. ნ. ფულგინი.

ქართული სამუსიკო საზოგადოების სკოლა.

(ეიოფილ ბიბილარმონიკა)

სლეპკოვის ქუჩა, № 4.

მოწაფეთა მიღება დაიწყება 10 სექტემბრიდან 11—2 ს. მეცადინეობა 20 სექტემბრიდან. მასწავლებლად მოწვეულნი არიან: როიალის კლასში—ქალ. ნინო თავიე. ბელოვ. ე. დ. აბელაშვილი-ყარანდოზოვისა, ო. მ. ბერგი, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. ი. პოლტორაცკი-მადატოვისა, თავ. ხელ. ე. ბ. ქიქოძე, თავ. ხელ. ე. ვ. ფოგელი, თავ. ხელ. რ. ე. ხოსროევისა, ვიოლინის (სკრიპკა)—პროფესორის კლასი- თავ. ხელ. ი. ი. ფიშბერგი, ან. ნ. ყარაშვილი, თავ. ხელ. ფ. ს. კაც, ვიოლონჩელის—თავ. ხელ. ი. ს. აბაშიძე, ალტი—ი. ი. მელაშვილ, სიმღერა—ვოლობა (solo)—ვ. ი. კირილოვისა, ა. ი. ჯაველი და მთავრობის თეატრის არტისტი ფ. ნ. პალიაევი, თეორიის კლასისა—თავ. ხელ. დ. ე. არაყიშვილი. ავრეთვე სწავლობს მოლაპარაკეები ტფილისში მეფო. თვალსაჩინო პროფესორებთან. სწავლის ფასი სამუსიკო სკოლებში 150 მ. წლიურად, სიმღერა—200 მ. და თეორიის კლასში 75 მ.

401 3—2

ქ. ტფილისის

სახელმწიფო, საზოგადო და სავაჭ.-სამრეწ. დაწესებულებებს

თანახმად სავალდებულო დადგენილებისა ქალაქ ტფილისის საბჭოსი, სასანიტარო-ეპიდემიურ თანხის შესადგენთან, ყველა ის პირნი, რომლებიც მსახურობენ საზოგადო, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში და იღებენ ჯამაგირს, იხდიან სექტემბრის შემოსავლიდან 2 პროც. (მე-7 მუხლი საკან. დ. დ.).

მე-10 მუხლი ამავე დადგენილებისა ავალებს ზემოხსენებულ დაწესებულებათა გამგეებს და მმართველთა, თუ ამათში მოსამსახურე პირთა საერთო რიცხვი ოცზე ნაკლები არ არის, შეკრიბონ ეს ფული; ამისა გამო სასანიტარო-ეპიდემიური თანხის შესადგენთ შემდგარი კომისია ამით მიმართავს თხოვნით ვისაც ჯერ არ შეასრულონ ზემოთ ხსენებული დადგენილება და შეგროვილი ფული დაუყოვნებლივ წარადგინონ ტფილისის თვითმმართველობის ხარჯის ამკრეფ განყოფილებაში საერთო სით, რომელშიც ალნიშნული უნდა იყოს რა ერგებიან სექტემბრის განმავლობაში და რა გადახდა ყოველ მათგანს და ფულთან ერთად ეს სიები წარადგინოს ალნიშნულებისამებრ. ამასთანავე კომისია განმარტავს, რომ 2 პროც. სასანიტარო-ეპიდემიური გარდასახადი უნდა გადიხადონ სექტემბერში მისაღებ ჯამაგირიდან გინდა იგი ჯამაგირი იყოს ივლისის ანუ აგვისტოს თვეებისა.

ტფილისის ქალაქის კომეგობა.

393 3—3 კომისია სასანიტარო-ეპიდემიურ თანხის შესადგენთ.

საკალდებულო დადგენილება

ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ დამტკიცებული 28 აგვისტოს 1918 წ.

1) ქალაქის მცხოვრებთ შეუძლიანთ იქონონონ ბინის თვითეული ოთახში ხმოლოდ ერთი ელექტრონის ლამფა არა უმეტეს 25 სანთლის ძალისა.

2) აკრძალულია სარგებლობა ელექტრონით ბინაზედ, მაღაზიებში, სასტუმროებში, სადილალოებში, რესტორანებში და აგრეთვე სხვა და სხვა ამგვარ დაწესებულებებში სხვა რაიმე მიზნისათვის გარდა განათებისა.

3) მაღაზიებში, რესტორანებში და სხვა ამგვარ დაწესებულებებში ნებადართულია განათება თვითეულ კვადრატიულ საჟენზე არა უმეტეს 4 სანთლის ძალისა.

4) აუდიტორიაში, სამკითხველოში, წიგნთ საცავებში, სასწავლებლებში ნებადართულია განათება 6 სანთლის ძალისა ერთ კვადრატულ საჟენზედ.

5) აკრძალულია განათება გამოსაფენ ალაგებისა, რეკლამებისა და აგრეთვე ყოველივე შუქის ეფექტები (გარდა თეატრის სცენებისა).

6. ბაღებში შეიძლება იქონონონ ოთხ სანთლის ძალა ერთ კვადრატიულ საჟ.

7. ზემოთ ნაჩვენებ ნორმების გარეშე დარჩენილი წერტილები უნდა დაიბეჭდოს ლიქით ქალაქის ზედამხედველობისაგან, რომლებიც იქნებიან აღურიცხილნი ქალაქის თვითმმართველობისაგან შესაფერ მოწმობებით. ბინის გასანათებლათ დასარჩენ ნორმების განსაზღვრა ივლება უნნის ელექტრონტანებს, რომლებიც აგრეთვე აღურიცხილ იქნებიან შესაფერ მოწმობებით; ამათვე ეძლევიათ უფლება კონტროლისა და ბოროტმომქმედთათვის შუქის მოსპობისა.

8. ამ დადგენილების დარღვევისთვის დამნაშავენი მიეცემენი იქნებიან პასუხის გებაში სასჯელთა დებულების 29 მუხლის ძალით და მოესპობათ სინათლე.

3418 3—3 ტფილისის ქალაქის კომეგობა.

ჭიათურისა და საჩხერის

უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებში

თვისუფალი 3 ალაგი: ქართული ენის მასწავლებლის, ხაზის ხატვის და სახოგადო საგნების. ჯამაგირი: 1.800 მან., 1.200 „სამხედრო“ დამატება და დამატებითი ჯამაგირი 3 მარტის კანონის თანახმად. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს სასწავლებლის გამგის სახელობაზე ჭიათურაში. 2—2.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

ნებართვით, ტფილისის სახელმწიფო ბანკის კანტორამ და აგრეთვე ქ. ტფილისის ყველა კერძო ბანკებმა, ამა წლის 25 ივლისიდან განაახლეს მიღება ნაღდი ფულისა, როგორც მიმდინარე (სახელდ-ხელო) ანგარიშზე ისე შესანახად იმ პირობით, რომ ბანკები და კანტორები ვალდებული არიან დაბრკოლებლივ გაანაღდონ შენახული თანხა მოთხოვნილებისამებრ თანხის განსაზღვრელად, რისთვისაც ტფილისის სახელმწიფო ბანკის ანტერიანი დაარსებული განსაკუთრებული ხელუსლებელი ფონდი ნაღდი ფულის. ძირითადი მიზანი ამგვარ მიღებული ზომისა არის განახლება ფულის ნორმალურ ტრიალისა, რათა აღდგენილ იქნეს ახლო მომავალში იმ თანხის განაღდებაც, რომელიც წინედ იყო შეტანილი იმდინარე ანგარიშზე და შესანახად. ხელახლობობა ბანკებში შენახულ კერძო ფულისა უკვე ყოფილია ამა წლის 18 ივნისის მთავრობის დადგენილებით, რითაც მოქალაქეთ საშუალება ეძლევათ თავისი ნაღდი ფული ყოველ შიშს გარეშე შეიტანონ საკრედიტო დაწესებულებებში.

მიწათ-მოქმედების საამინისტროსაგან.

მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან ერსდება მოკლე კვალინი კურსები ტყის მოხვეთის (დასანიშნა) თანაშემწეების მოსამზადებლად. მეცადინეობა იქნება სალამოობით. პირველად დაჩქარებითი სწავლის დამთავრება კურსებზე უნდა მოხდეს სამ თვეში. სწავლის ფასი 300 მანეთია.

კურსებზე მეცადინეობა შემდეგ საგნებზე: ბოტანიკა დენდროლოგიით, ნაადალის შესწავლა, მეტეოროლოგია (მოძღვრება ბუნების მოვლენებზე), მეტე

ბების უფროსთა თანაშემწეებამდის ყველა მოსამსახურეთა მიღების, დანიშვნისა და დათხოვნის განსაკუთრებულ უფლებას. განყოფილებათა უფროსების თანაშემწეები და განყოფილებათა უფროსები მიღებულ და დროებით სამსახურიდან დათხოვნილ იქნებიან მ-ნ ფიცხელაურის მიერ დაუყონებლივ ჩემს სახელობაზე წარმოდგენილ შესაფერ მოხსენების მიხედვით.

გზათა მინისტრი: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე.

არა ოფიციალური განკოფილება.

ტფილისი, 11 ენკენისთვე.

ზოგიერთი რუსული გაზეთები ვეღარ მალავენ სიხარულს ომის გამო, რომ ვითომ სტამბოლის კონფერენციაზე რუსეთის ბალშევიკური მთავრობის წარმომადგენლებს არ უცვნიათ საერთოთ ამერკავკასიის რესპუბლიკების და კერძოდ საქართველოს დამოუკიდებლობა.

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით დანამდვილებით რამდენად მართალია სტამბოლის კონფერენციის მუშაობის დაწყება და როგორ პირობებში სწარმოვს ი,ი. ყოველ შემთხვევაში არ ვიცით რა საბუთებით არ სცნობს ბალშევიკური რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა ჩვენს დამოუკიდებლობას და როგორ უყურებენ ამ საკითხს სხვა სახელმწიფონი.

და რადგანაც ყველა ამ კითხვებს ჯერ კიდევ საერთაშორისო დიპლომატიური ბურუსი ფარავს და კარგად არ ვიცით რა ხდება, რა გამოვა ,ჩრისაგან, ცხადია უადგო ,და ნაადრევია რუსის შოვინისტურ-ჩინოვნიკური წრეების სიხარული.

ჩვენ ვიცით, რომ არ გათეთრდება ყორანი რაგინდ რომ ხეხო ქვაშითა და არ გამოიცვლება ბუნება თვითპურობელური ნაციონალიზმის სულის ჩამდგმელობის.

თუ ჩვენთვის საერთაშორისო ურთიერთობაში გამოამიდებულია და შინაური ცხოვრებაში მაგრად ვდგევართ, მაშინ დიდპურობელური ნაციონალისტები ცდილობენ, მხოლოდ ცდილობენ ცოტა მოკძალებით იყვენ, ხანდახან კიდეც ვითომ მოყვრულად გაიღიმონ, შეურაცყოფილადაც ჩათვლონ თავის თავი ჩვენი რესპუბლიკის მიმართ მტრობის „დბრალების“ გამო.

მაგრამ „ძნელია, როცა მოყვრულად მტერი კაცს შეეპარება.“. როგორც კი გამოჩნდება ჩვენი დამოუკიდებლობის ცაზე ოდნავ დამფიქრებელი ღრუბელი, ისინი მყსვე გონიერებას ჭკარგავენ და აუკარავებენ თავის ანტიდემოკრატიულ და დამპყრობელ სულისკვეთებას.

სწორეთ ასეთ ღრუბლად, ჩვენი პოლიტიკური თავისუფლების საშიშარ ღრუბლად მოსჩვენებიათ ჩვენს ბებრუხანა თვითპურობელურ ნაციონალისტებს სტამბოლის კონფერენციაზე ბალშევიკების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის არ ცნობა და ამ სასიხარულო ამბის შემდეგ კიდეც მოსურვებიათ თავის პოლიტიკური პლანების გამომქღავნება.

ეს ვიტაბატონები იმდენად დაბნეულან მეტი სიხარულისაგან, რომ ამერკავკასიის ღეღეს უკვე დამოუკიდებელ ერებს მხოლოდ „ულტურული“ ,ატონომიას უფლებას ანიჭებენ. ამა დაუკვირდით თვით კულტურულ ავტონომიას კი არა, ამ ავტონომიის უფლებას, ოლონდ ალბად კიდევ საპროგრამოთ უნდა გადაიქცეს და ვინ იცის რაზე და ვიზე იქნება დამოკიდებული მისი განსახიერება.

ასეთივე ბკუაზე დაშორებული წინადადება მისცა ბალშევიკების სახელით სტეფფენ შაუმიანმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ავტონომიას გიბოძებთო. ასე ერთნირათ აზროვნობენ და ფიქრობენ ლიბერალური „ზარაზმელები და ბალშევიკური „კომუნისტები“ ერთა თავისუფლების წინააღმდეგ. ორნი არიან, ტოლნი არიან...

არასოდეს არ შეგვპარვია ეჭვი იმაში, რომ თავის ნებით რუსეთის არც ერთი დღევანდელი მთავრობა, არც ოფიციალური ბალშევიკური და არც არაოფიციალური ციმბირ-ტომსკოვის მთავრობა არ მოისურვებს უკვე ჩამოშორებული ერების დამოუკიდებლობის აღიარებას. ყველა მთავრობა (მონარქიულზე ხომ აღარ ვლაპარაკობთ!) მოწადინებულია აღადგინოს რუსეთი ძველ სახელმწიფოებრივ საზღვრებში. მაშასადამე რა საფიქრებელია, რომ მათ სასიამოვნოდ დარჩესთ ყოფილი იმპერიის რომელიმე „პროვინციელის“ თავისუფლების და დამოუკიდებლობის ცნობა.

ჩვენ ვთქვით თავის ნებით. მაგრამ ერთია ნება-სურვილი დიდპურობელურ პოლიტიკოსების, მეორეა საერთაშორისო და პოლიტიკური აუცილებლობა. და აი სწორეთ ეს აუცილებლობა არის მიმართული იმის წინააღმდეგ, რომ რუსეთი როდისმე აღსდგეს ძველ პოლიტიკურ ფარგლებში. ეს აუცილებლობაა, რომ აიძულებს რუსეთის მთავრობას, დღეს თუ არა ხვალ იცნოს და აღიაროს ის, რასაც გუშინ ასე დაეინებით უარყოფდ.

მართალია, კაცობრიობის, ერების და სახელმწიფოების თანამედროვე პოლიტიკური ბედი ამა თუ იმ ბრძოლაში ან ამა თუ იმ დიპლომატიურ კონფერენცია — თათბირზე არ გადაწყდება. ეს ბედი კაი ხნით გაიქედება მხოლოდ მოოფლიო, სრულიად საკაცობრიო და საქვეყნო კონგრესზე, რომელსაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა ექნება ხალხთა ცხოვრებისათვის, ვინემ გასული საუკუნის ევროპის საერთაშორისო კონგრესს. მაგრამ ის არ არის მართალი, რომ „დიდი რუსეთის“ მეოცნებენი გაიმარჯვებენ და ძველი მისი საიმპერიო საზღვრები აღსდგება მრავალი ერის და სახელმწიფოს საზარალოთ.

საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობისათვის და დამოუკიდებლობისათვის, ცხადია, დიდ ხანს მოგვიხდება თავდადებული ბრძოლა. ამ ისტორიულ ბრძოლაში გაიწვრთნება და გაფოლადდება ქართველი ხალხის პოლიტიკური შეგნება და სახელმწიფოებრივი ძალა. ამ ბრძოლაში ჩვენ დავიმყარებით ჩვენი დიდი მოკავშირის—გერმანიის რჩევას, გამოცდილებას და დახმარებას.

ამიტომ ჩვენ სრულიადაც არ გვაშინებს ის, რომ ჩვენს დამოუკიდებლობას რუსეთი არ იცნობს. ღღეს არ იცნობს, ხვალ გახდება იძულებული იცნოს.

და თუ მოისურვა და სულ არ გვიცნო,—ეს იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი თავი არ ვიცნოთ და ხელი ავიღოთ ჩვენ დამოუკიდებლობაზე, რომელიც გარანტიაა ხალხის თავისუფლების და დემოკრატიის განვითარებისა.

ტყუილად ჰგონიათ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ანარქიულ თუ მონარქიულ იმპერიისთვის გაგწირავთ, პატარა დემოკრატიულ თავისუფლებას დიდ ბალშევიკურ თუ იმპერიალისტურ მონობაზე გავცვლით!

ჩვენ უკვე გვყავს რუსეთში დიპლომატიური წარმომადგენელი. თუ ჩვენს წარმომადგენლობას არ იცნობენ რუსეთში, არც რუსეთის წარმომადგენლობას ვიცნობთ საქართველოში. ,,ცხელი კბილის წილ, თვალი თვალის წილ''. სხვა გზა არ არის და ეს გაგრძელდება მანამდის, სანამ რუსეთის ახლანდელი თუ მერმინდელი მთავრობა საუკუნოთ არ გამოეთხოვება ჩვენზე იმპერიალისტურ ბატონობის და საქართველოს რესპუბლიკის მტაცებლურ დაპყრობის დიდპყრობელურ ოცნებას.

რაც შეეხება იმ გულშავა რუს ტრაბახა ლიბერალობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლებას დანავარდობს და რესპუბლიკის სანაცვლოდ კულტურულ ავტონომიას გვპირდება, მოვახსენებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკა შესძლებს არამკითხე გადამთიელების მტრული მოღვაწეობის დაფასებას და ერთხელ კიდევ მოაგონებს მათ, რომ ძვირად დაუჯდებათ ნაგში ჯდომა და მენაეესთან ბრძოლა.

პრესის მიმოხილვა.

მსოფლიო ომის საშინელებამ ომის მეხუთე წელზე კვლავ აალაპარაკა კაცობრიობა ბავზე. ჩვენ არ ვიტყვით, რომ გერმანიასაც „შესუსტებოდეს ნერვები“, მაგრამ დღემდის მას ასეთი გაბედული ზავის პირობები არ წამოუყენებია. „ერთობა“ ომის შესახებ სწერს:

იგი საქვეყნოდ აღიარებს, რომ დასავლეთისაენ არ უნდა არც კონტრიბუცია და არც ანექსია. დანარჩენ მხარეს იმპერიალისტურ პოლიტიკაზე ხელს არ იღებს და ესეთ პირობებში მზათაა სამშვიდობო კონფერენციაზე წარსდგეს და ზავის პირობები შეიმუშაონ.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართალია გერმანიის ასეთი ზავის პირობები და რამდენად იგი გულწრფელია ასეთ პირობებში მშვიდობიანობის ჩამოგდებისთვის. მხოლოდ ერთი „რამ კი ეკვს გარეშეა: იმპერიალისტური სახელმწიფოები, კულტურული ქვეყნები ერთმანეთს ვერ მოსპობენ, იმის გულისთვის, რომ მათ ერთმანეთს რაიმე ტერიტორია ჩამოაჭრან და ერთმანეთის ბარჯზე გაძლიერდნენ. მათ სხვა გზა აქვთ თავიანთ იმპერიალისტური პოლიტიკის დასაკმაყოფილებლად. უკვე ფაქტია, რომ ორივე კოალიცია განუვითარებელ სახელმწიფოებს შეესიენენ და გვარიანი გემრიელი ლუკმები ჩაიგდეს. ასე რომ ერთმანეთის განადგურებაზე ხელს აიღებენ.

მახლობელი მომავალი დაგვიმტკიცებს, თუ რამდენად უწევენ ანგარიშს ბურუუაზიული სახელმწიფონი იმ დიდ კატასტროფას, რომელზედაც მიუთითებდა ლენდბაური რაიხსტაგის კათედრიდან საგარეო პოლიტიკის გარჩევის დროს. არ ვიცით რამდენად გამართლდება გერმანიის პირობები ზავის ჩამოგდების შესახებ. მაგრამ შეიძლება ამ მოსალოდნელ ზავით გამართლეს პაულ რორბახას წინასწარმეტყველება „დასავლეთისკენ მიჯნების ჩაყრის შესახებ“ და შემდეგში აღმოსავლეთისკენ გზის გაკაფვა.

სომხური პრესა.

სომხური გაზ. „ეოლოერდი ძაინ“-ში (ხმა ხალხისა) დაბეჭდილია ცნობილ სომეხ მეცნიერ არმენოლოგის, მანუკ აბეღიანის შემდეგი წერილი „სომხები და ქართველები“-ს სათაურით.

„წინდაწინვე მინდა საჯაროდ ვაღიარო, რომ ამ ბოლო ხანებში ქართველების მიმართ არა სასურველ სიმწარის გრძნობას განვიცდი და მე მგონია ამ გრძნობას განიცდის აგრეთვე მრავალი ჩემი თანამემამულეც. და თუ ეს მწარე გრძნობა ესე გაგრძელდა, კარგ შედეგებს არა გვპირდება, არე ჩვენ და არც ქართველებს.

რისი ბრალია, რა მოხდა. ძალიან ცოტა ქართველებთან და ძალიან მოკლე ხნით მქონია ცნობა. მაშასადამე სუბიექტივობა აქ არაფერ შუაშია. ვიცი რომ ქართველებშიაც, უეჭველათ, როგორც ყველა ერში, არიან ცუდიბიც და კარგებიც. მაგრამ როგორც ერი, ძალიან კეთილი ერია იგი; სომხის ერისთვის ყოველთვის კარგი მეობილი ყოფილა. ბომბეოსის დროიდან, როცა ქართველი ერი ისტორიის ასპარეზზე გამოვიდა, ოცი საუკუნე სომეხს და ქართველს, როგორც მეზობლებს მშვიდობიანათ უცხოვრიათ, არა დროს არ უომნია ერთმანეთთან. მართალია ქართველი სომეხს ბევრჯელ არ მიშველებია სხვისთან ბრძოლის დროს, და თუ ორივენი იძულებულნი ყოფილან საერთო ბრძოლა ეწარმოებინათ, ქართველი მალე გაბრუნებულა და მარტო მიუტოვებია სომეხები, მაგრამ ეს მიზეზათ არ გამხდარა რომ ორი ერის შუა მტრობა ჩამოვაყალნიეყოს. ყოველთვის ,ეთილი მეზობლობა და მეგობრობაც კი ჰქონიათ ერთმანეთში.

სომხის ერს ქართველისთვის არასოდეს არა სდომნია სიბოროტე, და ეხლაც, რა რიგადაც არ უნდა იყოს ჩვენი გული დაფუზარებული, არ შეგვიძლიან არ ვინდომოთ, რომ ქართველი ერი გაძლიერდეს და დამოუკიდებლობა განუმტკიცდეს. რადგანაც საქართველოს გამარჯვება და გაძლიერება ჩვენთვის ყოველთვის სასარგებლო ყოფილა. სპარსეთის ქრისტიანები ძველ დროებში სომხებს ეუბნებოდნენ: თქვენ ბაავთი ჩვენი დაცვის მაგარი კედელი, როცა ჩვენ ხიფათი მოგვადგებოდაო. ასევე თქმნის საქართველოზედაც. როცა საქართველოს სამხრეთით მაჰმადიანებიდან ელოდა ხიფათი, პირველი ურდოთა ძლიერი ტალღა სომხეთის თაგზე გადაირბენდა ყოველთვის და ეს ისტორიული ფაქტი ღრმად უგრძნია სომეხ ხალხს, რაც თავის ხალხურ ზღაპარშიც კი აქვს გამოთქმული რომ ეს ორი ერი ყოველთვის ძმობას უწევდენ ერთმანეთს.

ესე ყოფილა ძველ დროს მაგრამ რა მოხდა ეხლა რომ ჩვენ განვიცდით გამწარებულ გრძნობას ქართველების მიმართ?

გაზეთი ამ კითხვის პასუხს შემდეგისთვის გვპირდება.

ხელშეკრულება, საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის წარმომდგენელთა შორის დადებული, ბონების შესახებ.

ათას ცხრაას თერმეტი წელი, ექვსი სექტემბერი. ქ. ტფილისი.

ჩვენ ქვემორე ხელს მომწერნი, რესპუბლიკათა რწმუნებულნი: საქართველოსი—ფინანსთა მინისტრი გიორგი დურმიშხანის ძე ყურული, სომხეთის—საქართველოს მთავრობის წინაშე სომხეთის საქმეთა რწმუნებული არმაკ ჯამალიანი და ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოს მთავრობის წინაშე—მამედ იუსუფ ჯაფაროვი, შეეთანხმდით შემდეგზე: ოც ივლის ათასს ცხრაას თერმეტ წელს საქართველოს და სომხეთის რწმუნებულთა შორის დაიდო ხელშეკრულება უკვე გამოშვებულ ბონების პასუხისმგებლობის შესახებ, რომლის ჯამი სამას მილიონ მანეთს შეადგენს, და აგრეთვე ორას მილიონ მანეთის შესახებ, რომელიც შემდეგში გამოშვებულ უნდა იქნას. ეს ხელშეკრულება ეხლა არის საჯაროდ ბუნებაში ადერბეიჯანის მთავრობისათვისაც და რჩება ძალაში შემდეგი დამატებით და შესწორებით.

1) უკვე გამოშვებულ სამის მილიონ მანეთის ბონების პასუხის მგებელი არის ყველა სამი სახელმწიფო: საქართველო, სომხეთი და ადერბეიჯანი, მხოლოდ თვითო

ამ სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის რაოდენობას განსაზღვრავს განსაკუთრებული კომისია, რომელიც უნდა იქნას დაარსებული არა უგვიანეს ამა წლის პირველ ოქტომბრისა დასახელებულ რესპუბლიკათა წარმომადგენლებისაგან, სამ-სამი თვითოსაგან. ამასთანავე, თუ კომისია ვერ მიაღწევს შეთანხმებას, მაშინ კითხვის გადაწყვეტა უნდა გადაეცეს არბიტრაჟს, ერთხმად ამორჩეულს.

2) ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნშნულ სამას მილიონ მანეთის გარდა, უკ. იქნას გამოშვებული კიდევ ორას ოთხმოცა მილიონი მანეთის ბონები ძველ პირობების მიხედვით, ის ორას მილიონი მანეთის ნაცვლად, რომელიც აღნიშნულია ათას ცხრაას თერმეტი წლის 20 ივლისის ხელშეკრულების მესამე მუხლში.

3) ეს ორას ოთხმოცი მილიონის ბონები უნდა იქმნენ განაწილებულნი შემდეგ ნაირად: საქართველოს განკარგულებაში რჩება ას ოცი მილიონი, სომხეთი და ადერბეიჯანი ღებულობენ ოთხმოცა თხმოცა მილიონს თითო.

4) პასუხისმგებლობას ამ ორას ოთხმოცა მილიონ მანეთის ბონებისას ღებულობენ თავის თავზე საქართველო, სომხეთი და ადერბეიჯანი იმისდა მიხედვით, თუ რამდენი თანხა ერგოთ თითოეულ მათგანს.

5) სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორას ევალება მისცეს ბონები მათი დასაბეჭდი ექსპედიციისაგან მიღების დაკვალად, დაწყებული ათას ცხრას თერმეტი წლის სექტემბრის ხუთიდან. საქართველოს მთავრობას სამი მეშვიდეული მიეცემა თანხისა, სომხეთის და ადერბეიჯანის მთავრობებს კი ორი მეშვიდეული თითოს, მანამდე თვითეული სახელმწიფო ვალებით არ მიიღებს ის ნაწილს, რომელიც მას ეკუთვნის; ამასთანავე, როდესაც საქართველო და სომხეთი, რომლებმაც ათას ცხრაას თერმეტი წლის 20 ივლისის ხელშეკრულების ძალით უკვე მიიღეს რამოდენიმე ნაწილი ბონებისა, მიიღებენ აგრეთვე ვალებით დარჩენილ მათ კუთვნილ ნაწილებსაც, ბონების შეეშდა უნდა გაგრძელდეს ადერბეიჯანის მთავრობისთვის მისაცემად, მანამდი ეს უკანასკნელი არ მიიღებს სრულიად ოთხმოცა მილიონ მანეთს. ეს ხელშეკრულება, რწმუნებულ პირთა ხელმოწერილი, იწერება სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი უნდა გადაეცეს საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს, მეორე სომხეთისას და მესამე ადერბეიჯანისას.

სამხედრო მინისტრთან.

სამხედრო მინისტრმა ჩვენს თანამშრომელს შემდეგი საგულისხმიერო ცნობები გადასცა.

თუ „ოსეს ხდება.

„სოხუმის, ზაი ზოვის სანაპიროების რაიონიდან გენ. ვაშაკიძე მატყობინებს, რომ 8 ენკენისთვეს ჩვენმა მოწინააღ რაზმებმა ისევ დაიკავეს ქალ. თუაფსე.

სამეგრელო.

„სამეგრელოში გაგზავნილ საგანგებო რაზმს და სახალხო გვარდიელებს ხელმძღვანელობს გენ. კონიაშვილი, რომელმაც სამ ნაწილად დაჰყო მთელი ეს სათმარი ძალა და ისე გავიარა სენაკიდან სამი მიმართულებით. როგორც მატყობნებენ შუა ხაზით მიმავალი რაზმი უკვე ზუგდიდში შევიდა 8 ენკენისთვეს.

თეთრი წყაროო. (ტელეფონ-კალიუში).

იქაურები დაწყნარდენ და უკვე იარაღს ვეგაბარებენ. ამასთანავე უკანვე მოაქვთ გატაცებული სურსათ-სანოვაგე, ტანსაცმელი და ფეხსაცმელები. იქ მომქმედ რაზმს უფროსობს ზეულაძე, რომელიც კარგად უძღვება საქმეს. ჩემის აზრით მანგლისის მხარეც მალე ჩადგება წესიერ კალაპოტში და იარაღს ჩაგვაბარებს. მთავრობის დადგენილებით თეთრ წყაროში უნდა გაიგზავნოს კომისია, რომელსაც დაევალება გამოარკვიოს ვინ იყვნენ მეთაურები და ხელმძღვანელები, რომ დაიჭირონ და პასუხის გებაში მისცენ სხვაგან ყველგან სიწყნარეა.

მთაბალიზაცია.

ბევრი ახალგაზდა ცხადდება, ერთი შეხედვით გარეგნულათ კარგად სწარმოგეს, მაგრამ საუბედუროთ ჩაიცვამენ თუ არა ტანსა და ფეხზე უკანვე მიდიან. ამისთვის სასტიკი განკარგულებაა გაცემული, რომ წასულები დაიჭირონ. ისინი ისე დაისჯებიან, როგორც ბრძოლის ველიდან გამოქცეული დეზერტირები. საერთოდ ამ მხრივ რომ გაუმჯობესობა უფრო ძლიერ დაეტყოს მობილიზაციის საქმეს, საჭიროა, რომ ავიცარობა შეგნებით და უფრო მუყაითად მოეპყროს საქმეს, რომ ასეთი მოვლენები შემცირდეს და თანდათანობით სრულიად მოისპოს.

ძალიან გვაწუხებს პურის ნაკლებლობა და უფეხსაცმელობა. ჯერ იმითი ეფერხებიან, რომ დამზადებულ ფეხსაცმელებს ჯარში ახლად გაწვეულები იცვამენ და მიდიან, და მეორე იმით რომ თუმცა საფეხსაცმელო მასალა ბლომათაა, არა გვაკვს მკერავები, მეწაღეები, რის გამოც ვერ ესწრება ფეხსაცმელების საჭირო რიცხვის დამზადება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში.

მანთაშვილის ქარგასლა.

მანთაშვილის ქარგასლაში აუარებელი გადამალული ნივთები აღმოაჩინეს.

ამან საზოგადოებაში დიდი აურ-ზაური გამოიწვია. საბოლოოდ არ არის გამორკვეული, თუ იქ ვის რა ეკუთვნის, დღეს ამას იკვლევენ სამინისტროს აგენტები.

ახალი სტილი.

ახალ სტილის მიღებაში ეკლესიამ მეტად გაგვირთულა საქმე. საკათოლიკოზო საბჭოს დადგენილებით დღესასწაულთა უქმობა ახალი სტილით მხოლოდ 1919 წლიდან იქნება შემოღებული. ახალი სტილით უნდა შედგენილ იქნნან ტ უქმობაც ამისეგი მიხედვით უნდა იყოს.

ერობა.

ერობის გარშემო ამ ჟამად დიდი მუშაობა სწარმოებს.

ადმინისტრატიული რეფორმა მტკიცედ არის დაკავშირებული ერობასთან.

ეს ორი ორგანო საერთო საქმის კეთებაში ხელი-ხელ ჩაკიდებული არის. საჭიროა მოიპოს გუბერნიის კომისარიატები და მის მაგიერ ახალ სამაზრო ორგანოების შექმნა, რომელთაც მიეცემათ მეტი უფლება, ვინემ აქამდე ჰქონდათ.

სამინისტროს ტეხნიკური განყოფილება ორგანიზაციის პროცესში არის.

საექიმო-სასანიტარო მუშაობასაც ჯეროვანი ყურადღება აქვს მიპყრობილი. იქ ახლა იწყება მუშაობა.

უნდა მოხდეს მთელი რესპუბლიკის საექიმო და სასანიტარო დაწესებულებათა ცენტრალიზაცია.

ყოველ შემთხვევაში, ამ საქმეს სათავეში უდგანან მეტად მცოდნე პირები და სამინისტროს იმედი აქვს დაწყებული საქმე კეთილად დაბოლოვდება და შესაფერ ნაყოფს გამოიღებს.

***

სამინისტრო ვერ დაჰფარავს მას, რომ ჩვენში მეტად სუსტია ადმინისტრატიული მართვა-გამგეობა. საზოგადოთ, იარაღით გამოსვლა და სისხლის ღვრა სასტიკად ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპების განხორციელებას. მაგრამ დღეგანდელმა მდგომარეობამ, და იმ [illegible]ესიურმა გამოსვლებმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში, დაგვარწმუნა, რომ დღეგანდელ პირობებში აუცილებელია მაგარი პოლიტიკა მშვიდობის და წესიერების აღსადგენად.

მარტო სიტყვა არ სპრის, საქმეა სჭირია ძალა, ძლიერი ადმინისტრატიული ორგანოები, დღეს ამის საჭიროებას თვითონ ხალხი გრძნობს.

ჩვენს დამოუკიდებლობას აუარებელი მტერი ჰყავს, რომელიც კრიტაში უდგია ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, შიგნით და გარეთ ანარქიას და ბალშევიკური ცეცხლს აჩაღებენ და უცდიან დროს, [illegible]ასა შესაძლებელი გახდება ზურგიდან [illegible]ის ჩაცემა.

მთავრობის უნარს უნდა მიეწ[illegible] ეს გარამოება, რომ თითქმის ყველგან საქართველოში საკმაოდ შემცირდა ბალშევიკური აჯანყება, მტერნი მარცხდებიან და სახელმწიფოებრივი ცხოვრება ცოტად თუ ბევრად ნორმალურ კალაპოტში დგება.

ვერ დავფარავთ, იმასაც, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შეექმენით ისეთი მტკიცე ადმინისტრატიული ორგანოები, რომლებიც შესძლებდნენ ძირიან-ფესვიანად ანარქიის მოსპობას. მაგრამ ამ მხრით საქმე თანდათან უმჯობესდება.

ომისაგან შექმნილ პირობების გამო ძალიან ფერხდება მეზობელ სახელმწიფოებთან საქონლის გაცვლა-გამოცვლა. თუმც ამისათვის ენერგიული ზომებია მიღებული—უმთავრესად ჩვენ ჩრდილო-კავკასიიდან შემოგვქონდა პური, სადაც ამ ჟამად გაუნელებელი ანარქიის ცეცხლია, რის გამოც შეუძლებელია იქიდან პურის შემოტანა.

ახლად შემდგარ კონტრ-რევოლიუციასთან და სპეკულიაციასთან საბრძოლელი რაზმი თავის სიმაღლეზე სდგას, და ბევრი სარგებლობა მოუტანა ჩვენს სახელმწიფოს.

თუ ბაქოს საკითხი ეფილად დაბოლოვდა, მაშინ საშუალება მოგვეცემა იქიდან ნავთის და მაზუთის ჩამოტანისა, ამით საწარმოო მექანიზმი მთელი თავის სიძლერით ამოძრაეებდა. შესაძლებელი გახდება რკინის გზებითაც წესიერი მიმოსვლის აღდგენა.

მარტო ადმინისტრატიული ზომები, არ კმარა. საჭიროა, თვით საზოგადოებამ საჭირო უნარი და გამოცდილება გამოიჩინოს სახელმწიფოს შექმნაში, ამ მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, საჭიროა ხალხის დაზმარება, მისი საქმიანობა.

უხალხოთ ჩვენ ვერას გავაკეთებთ.

ეროვნული საბჭო*)

მე-32 სხდომა

პარასკევი, 23 ივლისსა 1918 წ. ტფილისი, სასახლე.

გ. ვეშაპელი.*) (სიტყვის გაგრძელება).

გაზეთი „Кавказ. Слово"-ში დაბეჭდილია შემდეგი ფაქტიური ცნობა ამ ბორჯომის წყლის ექსპლოატაციის შესახებ; ხელმწყრალი არის ვოლსკის მიერ ბორჯომიდან გამოგზავნილი წერილი, მხოლოდ ფაქიზიერ ცნობებს ვიტყვი და არა კომენტარიებს. აქ არის ნათქვამი ბორჯომის წყლის ექსპორტი ყოფილა ერთ კონტრ-აგენტის ხელში, არა ქართველის.

ამ კანტრაქტს ვადა თავდებოდა 1921 წ. ეს გაამათილეს და დანიშნეს შეჯიბრება. „კავკაზსკოე სლოვო"-ში ასე არის მოთავსებული ამ შეჯიბრების ამბავი: Торги не состоялись, на нихъ никто не явился. Затѣмъ министерство стало искать покупателей частнымъ образомъ и въ серединѣ мая продало воду тифлисскимъ коммерсантамъ... (აქ არის გვარები, მაგრამ ეე გვარებს არ შევეხები, ჩემთვის სულ ერთია ვინც უნდა იყოს კონტრ-აგენტი, ეშმაკ[illegible] თუ ქაჯი, მე ელაპარაკობ თვით ფაქტზე)იქვე არის ნათქვამი: "Министерство взяло на себя обязательства не продавать въ теченіи года ни одной бутылки". მე მაქვს კონსპექტიური ამონაწერი ხელშეკრულებისა, რომელიც ეხება ამ საქმეს. აქ არის ნათქვამი, რომ ყოფილა ორგვარი ხელშეკრულება: ძირითადი, სადაც სწერია, რომ „Коммерсантъ обязанъ въ продолженіи одного года, взять одинъ милліонъ бутылокъ цѣльныхъ и 136 тысячъ полубутылокъ, по цѣнѣ бутылка 1 р. 40 к., а полубутылка 90 к „ მერე ყოფილა დამატებითი ხელშეკრულება იმავე საქმეზე: „Согласно дополнительной припискѣ къ договору тоже контръ-агенти обязаны взять бутылку по цѣнѣ 1 р. 30 к." ეხლა მოგახსენებთ ეხლანდელ მოიჯარადრის შესახებ. მან ტელეგრამა გამოგზავნა მას შემდეგ, რაც შეკითხვა შემოვიდა საბჭოში. ტელეგრამა დაბეჭდილია თავის მთავრობის გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში". იგი შემდეგი შინაარსისაა (კითხულობს):

„საქართველოს" 158 ნომერში მოთავსებულია ცნობა: ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციას შეუტანია საბჭოში შეკითხვა ბორჯომის წყლების ექსპლოატაციის შესახებ. ამისათვის საჭიროა იცოდეთ, როგორც თქვენ, ისეთივე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ თუ რა პირობებში მოხდა ბორჯომის წყლის ჩვენს ხელში დაგდოსკენ. სამინისტროსაგან გაზეთში იყო გამოცხადებული ავტოვე ფასებიც. ამ დროს თათრები ბორჯომის ახლოს აწყვეს უტეევდნენ. მოსალოდნელი იყო არამც თუ ამ წყლების დაკარგვა თვით ბორჯომის ბედიც ბეწვზედ ეკიდა. ეი ამ დროს ჩვენ ვიკისრეთ ბორჯომის წყლის ექსპლოატაცია, დავდევით სამინისტროსთან სათანადო პირობა, მაშინვე განვაცხადეთ, რომ მზად ვიქნებით ამა თუ იმ ფულების შესწორებაზე თუ ამას თავრობა საჭიროდ დაინახავდა. ამაზე ღღესაც მზად ვართ. ამ მოკლე ხანში ჩვენ შევიტანთ რამოდენიმე დაბრკოლებათა გადალახვა და ავენტების საშუალებით თითქმის ყველა მეზობელ ქვეყნებში და საზღვარ-გარეგ მოუმზადეთ ბაზარი ბორჯომის წყალს, მაგრამ ტრანსპორტის მოუწესრიგებლობა ხელს გვიშლის, რამაც გამოიწვია დიდად ზედმეტი ხარჯები. სჩანს ჩვენი ფრაქცია არ არის დაცნობილი საქმის ნამდვილ მდგომარეობას და შეეცდომაში შეეყვანართ საქართველოს რესპუბლიკის მტერთ. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ დანიშნოთ თქვენი ფრაქციიდან კომისია ჩემს ხარჯზე, რომელიც გაიცნობა ადგილობრივად წყლის ექსპლოატაციის საქმეს და დაგარწმუნებენ, რომ ქართველ მრეწველსაც შეუძლია არა ნაკლებ უცხო მრეწველებზე საერთო სახელმწიფოებრივ-ხასიათის მრეწველობის მოგვარება, ბორჯომის წყლის მოიჯარადრე დავით ქებაძე.

ეს არის ფაქტიური ცნობანი ბორჯომის წყლის შესახებ. კომენტარიები ამის შესახებ შეიძლება და უნდა იყოს შემდეგი. მე არ შეგებები იმის რამდენად შეეფერება საქართველოს სახელმწიფო ეკონომიკას გამოუსყიდველი კონფისკაცია დიდი მთავრის კერძო საკუთრებისა. რასაკვირველია, ამაზე ყველას თავისი შეხედულება აქვს. თუმცა პირადად მაქვს წარმოდგენილი, რომ ასე კერძო საკუთრება, იქნება იყიდონ მთავრის ან თუ ავალიშვილებისა (როგორც ამბობენ ეს მამული ამათ ეკუთვნოდა და მერე „ზაორთვესო) (ხმები მარცხნიდან: დაუბრუნონთ!) სულ ერთია, ეს პრინციპი არ არის სახელმწიფოებრივი და განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე შეეხება ისეთ პატრონის მამულს, რომელსაც შეუძლია შეაფაროს თავი უცხო ქვეშეგრდომლობას და საერთაშორისო უფლების ნორმებით აგვანაზღაურებოს რაც რამ ზარალი მოუვა მამულს.

ძალაუნებურად გვიდგება ანგარიშის გაწევა ასეთ პრეტენზიებისა, „ამის გამოძახილი უკვე დაიწყო პრესაში, და ჩვენი ვალდებულებაა ისიც არა, რომ ყველაფერი და „все обстоитъ благополучно, революціоннымъ порядкомъ" ვთქვათ, არა ჩვენი ვალდებულებაა წინასწარი ანგარიში გაეწიოს საფრთხეს. ის პროტესტი, რომელიც დაბეჭდილია „ნაზწარა" (ტყვიბულის) საზოგადოების მიერ „სლოგოს"-ში გვაჩვენებს თუ როგორ აპირებენ უცხო ქვეყნების ქვეშეგრდომობის, გამოყენებას, რათა მთავრობის უწესო ექსპლოატაციის გამო ნახული ზარალი აგვანაზღაურებინონ...

მაგრამ ეს არ შეეხება ამ შეკითხვას. მთავარი საგანი ამ შეკითხვისა ის არის, რომ მოხდა კონფისკაცია ასეთი დიდი მამულისა. ასეთი დიდი ქონება გადავიდა სახელმწიფოს ხელში. თავის თავად ცხადია; სოციალისტური მთავრობის პოლიტიკა ეყრდნობა ისეთს პრინციპს, რომ კერძო პირებს რაც შეიძლება მეტი ჩამოერთვის ფასათა და გადაეცეს საზოგადო ან სახელმწიფოს ორგანოების ხელში, მით უფრო მაშინ, როცა სახელმწიფო ორგანიზაციები სრულიად შეეფერებიან საზოგადოებრივ ნება-ყოფას; ჩვენ გვაქვს საქმე ნაციონალიზაციასთან, და არა მუნიციპალიზაციასთან. მიუხედავად ამისა რა შეეხედულებისა უნდა იყოს ის არა-სოციალისტი ამ კერძო თაოსნობაზე და საზოგადოებრივ და სახელმწიფო საკითხებზე, ცხადია რაკი მთავრობა დაადგა მამულების ნაციონალიზაციის გზას, ის უნდა დაადგეს ამ გზას, გაჰყვეს და რასაც გაიკეთებს, გაიკეთებს სახელმწიფო ძალით.

ჩვენში კი რა ხდება? იმის მაგიერ, რომ სახელმწიფომ სეადოს ნაციონალური ექსპლოატაცია, ან მუნიციპალიზაცია იწყობა უკუღმა პროცესი—ლიკვიდაციისა და სახელმწიფოს ხელში გადასულ მამულის, ქონების მოვალეობა-უფლება ეძლევა სხვა და სხვა ახალ კერძო პირებს.

რასაკვირველია, თავრობის საქმეა თუ როგორ უყურებს თავის სახელმწიფოებრივ ეკონომიურ ძალებს სიმწიფეს და შეძლებას; შეუძლია თუ არა მართოს, მაგრამ, ერთის მხრით ნაციონალიზაცია და კონფისკაცია — მეორეს მხრით გადაცემა ახალ კერძო ხელში, ეს [illegible] ხელმწიფოს ხელში ჩავარდნილ ქონების ეს ვეროფიერი ეკონომიკა, საჭიროა, რომ ნაციონალიზაცია და კონფისკაცია არ გამოიხატოს მხოლოდ იმაში, როგორც შემდეგში დავინახავთ, რომ იოლად წაერთვას წინანდელ პატრონს ტ იოლადვე მიეცეს ახალ პატრონს.

